პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (19749) შაბათი, 10 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა მეთორმეტე ხუთწლედისა და 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

ჩვენი რესპუბლიკის თითოეულმა მშრომელმა — კომუნისტმა და კომკავშირელმა, მუშამ და კოლმეურნემ, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველი დარგის მუშაკმა თავის უფლებამოსილებაში მოქალაქეობრივ მოვალეობად უნდა დაისახოს, რომ მთელი თავისი ენერგია და მონდომება, მთელი ძალ-ღონე და გამოცდილება მოახმაროს საბჭოთა საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვით ნაკარნახევი ამ ვალდებულებების უთუო შესრულებას და ამით თავისი ღირსეული მამულიშვილური წვლილი შეიტანოს მშობლიური რესპუბლიკის სახელისა და ავტორიტეტის განდიდებაში, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საპროგრამო დოკუმენტებით ჩვენს წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი აღმშენებლობითი ამოცანების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ მშრომელთა მეთორმეტე ხუთწლედისა და 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

მეთორმეტე ხუთწლედისათვის

ისწრაფვიან რა ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ახალი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითების კასუსად, საქართველოს სსრ მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დაჩქარების სტრატეგიის განხორციელებისათვის, მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებული შესრულებისათვის.

ღრმად აქვთ რა შეგნებული ახლანდელი პერიოდის გარდამტეხი ხასიათი, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების რევოლუციური მნიშვნელობა, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები ავლენენ დიდ პოლიტიკურ სიმწიფესა და შემოქმედებითს აქტიურობას; ყველგან ვრცელდება ინიციატივა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი და ვ. ი. ლენინის დაბადების 120 წლისთავი.

იღვწიან რა იმისათვის, რომ უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის ყველა ძირითადი დავალება, მუშაობის ძირეული გარდაქმნის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, განვითარების უპირატეს ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის თანაბიმდევრული გადაყვანის, შემსვედრი გეგმების მიღებისა და რეალიზაციის, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების საფუძველზე, საქართველოს სსრ მშრომელები კისრულობენ ვალდებულებებს:

I. მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის დარგში

ყოველმხრივ დაჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემში, მთელი ძალები მოახმარონ მის პრიორიტეტულ მიმართულებებს, განამტკიცონ წარმოებასთან მეცნიერების კავშირი და ამ საფუძველზე მიაღწიონ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის არსებით გაძლიერებას, მისი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მკვეთრ გადიდებას. სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების ფართო მონაწილეობით გააქტიურონ მუშაობა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ქმედითი ფორმებისა და მეთოდების ძიებისათვის, პარტნიორობის გაფართოებისათვის, რათა უსწრაფესად განახორციელონ მეცნიერული ნამუშევრები უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

მნიშვნელოვნად გაზარდონ მეცნიერული ნამუშევრების პრაქტიკული მიზანმიმართულება; მათი დანერგვის ვადები 20-25 პროცენტით შეამცირონ, აღმოფხვრან 500-ზე მეტი „ვიწრო ადგილი", რომლებიც ალიმიტებენ წარმოებას, და უზრუნველყონ ეკონომიკური ეფექტი 250 მილიონი მანეთის მოცულობით.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების გზით მიიღონ შრომის ნაყოფიერების საერთო მატების 75-80 პროცენტი მრეწველობაში, 250 მილიონ მანეთზე მეტი თანხით შეამცირონ მისი პროდუქციის თვითღირებულება.

მოაგვარონ ვლ-15 თორმეტღერძიანი მაგისტრალური ელმავლების, მოდულ-აგრეგატული პრინციპის საფუძველზე რიცხვული პროგრამული მართვის სახარატო ნახვრადავტომატების, აგრეთვე ლაზერული ტექნოლოგიური დანადგარების სერიული გამოშვება. გაზარდონ სამთო მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი თანამედროვე მანქანების, ანალიზური ხელსაწყოების წარმოება. მნიშვნელოვნად გააფართოონ გამოთელილი ტექნიკის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ავტომატიზაციისათვის.

რესპუბლიკური პროგრამის „მეცნიერება — ტექნიკა — ხარისხის" შესაბამისად ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წილი საატესტაციო პროდუქციის მოცულობაში გაზარდონ 60-65 პროცენტამდე. ყველა ახლად ათვისებული უმნიშვნელოვანეს სახეობათა მანქანათსაშენებელი პროდუქცია გამოუშვან მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის დონეზე. ვაფართოონ ახალი ჯიშის ჩაის „კოლხეთის" პლანტაციების ფართობი, გააუმჯობესონ ქართული ჩაის ხარისხი.

მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნების გათვალისწინებით ძირეულად გააუმჯობესონ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, განაახლონ მისი ასორტიმენტი. „ხ"-ინდექსიანი პროდუქციისა და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის ხვედრითი წილი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში გაზარდონ 23 პროცენტამდე.

II. მრეწველობაში

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის უფრო სრული გამოყენების, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელების, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაზარდონ 25 პროცენტით; მანქანათშენებლობაში პროდუქციის მატების ტემპი 2,5-ჯერ დაჩქარონ, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში.

სრული მოცულობით შეასრულონ ნომენკლატურული გეგმა, დროულად და ოპერატიულად მოახდინონ რეგირება სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე, მოაგვარონ წარმოების ნორმალური რიტმი და ამის საფუძველზე არსებითად განამტკიცონ სამეურნეო-სახელშეკრულებო დისციპლინა. საწარმოები თანამიმდევრულად გადაიყვანონ პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში მუშაობაზე.

1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა, უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმით შემცირება.

ხუთწლიან გეგმასთან შედარებით გაზარდონ მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მასშტაბი; ამ მიზნებს რესპუბლიკურ მეურნეობაში (აგროსამრეწველო კომპლექსის გარდა) მოახმარონ საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა დაახლოებით 50 პროცენტი. დაჩქარონ ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება; მანქანათსაშენებელ საწარმოებსა და გაერთიანებებში განაახლონ მათი აქტიური ნაწილის 30-45 პროცენტი. უფრო სრულად დატვირთონ მოქმედი საწარმოო სიმძლავრეები, დიდმწარმოებლური მოწყობილობა გადაიყვანონ ორ-სამცვლიან მუშაობის რეჟიმზე. ამის მეოხებით ძირითადი მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი გაზარდონ მანქანათმშენებლობაში 1,7-მდე, მათ შორის პროგრესული მოწყობილობისა — 2-მდე.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება რესპუბლიკაში გაზარდონ 1 მანეთამდე და 60 კაპიკამდე ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე; გააფართოონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების მონაწილეობა მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებაში. 1,6-ჯერ გაზარდონ მეორეული რესურსისაგან პროდუქციის გამოშვება.

გააუმჯობესონ მუშათა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, არსებითად გაზარდონ მათი პროფესიული კვალიფიკაცია. 1,2-ჯერ გააღიდონ პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი.

სრულყონ შრომის ანაზღაურების სისტემა, დაასრულონ ახალ სატარიფო განაკვეთებზე გადასვლა, უზრუნველყონ, რომ ხელფასის ოდენობა უმუალოდ იყოს დამოკიდებული შრომის ოდენობასა და ხარისხზე, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

III. აგროსამრეწველო კომპლექსში

პროპორციულად და შეწონასწორებულად განვითარონ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფერო და დარგი, წარმოების მოცულობა უპირატესად გაზარდონ ინტენსიური ფაქტორების გამოყენების გზით, თავიდან აიცილონ ნედლეულისა და პროდუქციის დანაკარგები წარმოებისა და გადამუშავების მთელ ციკლში. გააუმჯობესონ პროდუქციის საასორტიმენტო სტრუქტურა, აამაღლონ მისი ხარისხი.

კომპლექსის მთლიანი პროდუქციის მთელი მატება მიიღონ ისე, რომ არ გაზარდონ დასაქმებულთა რიცხვი.

1990 წელს გაზარდონ სახელმწიფო შესყიდვის მოცულობანი: მარცვლეულისა — 105 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 205 ათას, ციტრუსისა — 315 ათას, ყურძნისა — 550 ათას, ხილისა — 545 ათას, ბოსტნეულისა — 420 ათას, ხორცისა — 205 ათას, რძისა — 340 ათას, მატყლისა — 3,7 ათას ტონამდე, კვერცხისა — 675 მილიონ ცალამდე. გამოუშვან დაახლოებით 130 ათასი ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი.

უზრუნველყონ საერთო-საკავშირო ფონდში საადრეო კარტოფილის, ხილის ახი პროცენტით მიწოდება, ციტრუსების მიწოდება დავალებით დადგენილს გადაჭარბონ 2 ათასი ტონით.

62 ათას ჰექტარზე დათესონ ახალი ჯიშების და პიბრიდების მარცვლეული, რომლებიც შეესაბამება ინტენსიური ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

ხუთწლედის განმავლობაში დააშრონ 15 ათასი ჰექტარი გადამეტტენიანებული და დაჭაობებული მიწები. განაგრძონ კოლხეთის დაბლობის მიწების მელიორაციისა და ათვისების სამუშაოები, 20 ათას ჰექტარ ფართობზე განაახლონ არსებული დასაშრობი სისტემები. საექსპლოატაციოდ გადასცენ 60 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები.

IV. მშენებლობაში

გაშალონ აქტიური მუშაობა, რათა სრულყონ მშენებლობის სამეურნეო მექანიზმი, გაზარდონ სამშენებლო წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესონ მშენებლობის, საშენი კონსტრუქციებისა და მასალების ხარისხი.

გაზარდონ სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეები მინიმუმ 1,4-ჯერ, უზრუნველყონ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა დაჩქარებული განვითარება, რათა მიაღწიონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის საჭირო მატებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ შრომის მექანიკური აღჭურვილობის მაჩვენებლების გადიდებას, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი მატება 2 პროცენტით. მექანიზებული გახადონ 10 ათასი მუშის შრომა, შეამცირონ სამშენებლო ორგანიზაციების კადრების დენადობა 15 პროცენტით დარგის განვითარების დასახული სოციალური პროგრამების გადაწყვეტის გზით.

მიაღწიონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების ყოველწლიურ შემცირებას გეგმასთან შედარებით სულ ცოტა 0,5 პროცენტით. ხუთწლედის დამლევამდე უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში მუშაობაზე სამშენებლო ორგანიზაციების ეტაპობრივი გადაყვანა.

უფრო ფართოდ გამოიყენონ ეკონომიკური ბერკეტები, სტიმულები და სანქციები, რომელთა მიზანია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება და საექსპლოატაციოდ ობიექტების დროული გადაცემა.

ნიადაგ შეამცირონ მშენებლობის ვადები და ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა. 1990 წლისათვის უზრუნველყონ, რომ ნორმატიულ დონეს მიაღწიოს ყველა ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობამ.

მიაღწიონ საპროექტო-სამშენებლო გაერთიანებების რენტაბელურ მუშაობას. ყველგან დანერგონ ობიექტების აგებისა და გამზადებული სახით მათი ჩაბარების წესი.

მკვეთრად გაზარდონ მონოლითური სახლთმშენებლობის მოცულობა. 1990 წლისათვის 20 პროცენტამდე გაზარდონ მონოლითური ბინების საერთო ფართობის ხვედრითი წილი.

სრულყონ შემკვეთებისა და მოიჯარეების ურთიერთობა, უზრუნველყონ სამშენებლო პროდუქციის სახელშეკრულებო ფასებზე გადასვლა. უზრუნველყონ, რომ დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ ასამოქმედებელი ობიექტი, მათ შორის ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის VI საფეხური, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, გაგრის შემოსავლელი საავტომობილო გზის მეორე რიგი, თბილისის მეტროპოლიტენის სამი სადგური, ქალაქ თბილისის რკინიგზის ვაგზალი, ქალაქ სამტრედიის სარკინიგზო კვანძი, ქალაქ თბილისის ფართლეულის ფაბრიკა, ფოთის ტრიკოტაჟის საკერვალო ფაბრიკა, შულავრის ქრომის ტყვიის საწარმოო ქარხანა, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის (I რიგი), ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „ზზოტის" ამიაკის წარმოების, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის რეკონსტრუქცია და გაფართოება, ამასთან უზრუნველყონ მათი მაღალი ხარისხი.

გაზარდონ ინდუსტრიული სახლთმშენებლობის სიმძლავრეები 1,5-ჯერ ახალი მშენებლობის, აგრეთვე მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

დადგენილ ვადაში გადასცენ მშენებარე საცხოვრებელი სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებარე ობიექტები ქალაქ ტიუმენში, ბამის დასა იკაბიაში, ჩერნიგოვისა და ვოლოგდის ოლქებში, ამასთან უზრუნველყონ მათი მაღალი ხარისხი.

მთლიანად განახორციელონ „1986-1990 წლებში თბილისის ქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების კომპლექსური ღონისძიებანი.

ხუთწლედის დამლევისათვის ერთიორად გაზარდონ იმ საცხოვრებელი ფართობის ხვედრითი წილი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მოქალაქეთა შეკვეთებით და მათი სახსრების გამოყენებით გაუმჯობესებული მოპირკეთებისა და მოწყობილობის ბინებით, აგრეთვე უზრუნველყონ, რომ ფართოდ გაეწიოს მოსახლეობას მომსახურება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, საპაღო სახლების მშენებლობისა და სხვა სამშენებლო სამუშაოების ხაზით.

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ ახალი საცხოვრებელი რაიონების განაშენიანების არქიტექტურული სახე, დანერგონ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების თანამედროვე ეფექტიანი პროექტები.

უზრუნველყონ მასობრივი საბინაო მშენებლობის მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანება.

ხუთწლედის დამლევისათვის მთლიანად შეუქმნან მშენებლებს სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები წარმოებაში დადგენილი ნორმატივების შესაბამისად. უზრუნველყონ უმუალოდ სამშენებლო მოედნებზე და საწარმოებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართო ქსელი.

გაზარდონ 60 პროცენტით ქალაქების საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის მუშაობის მოცულობა. მიიღწიონ, მაღალი ხარისხის იყოს ყოველი სახლი, რომელიც კაპიტალური რემონტის შემდეგ გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ხუთწლიანი გეგმის დავალებების დამატებით უზრუნველყონ რესპუბლიკის ფარგლებში 5 კილომეტრ სიგრძეზე შავი ზღვის სანაპირო ზონის დაცვა და განმტკიცება.

V ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და დარგების ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საფუძველზე, მიაღწიონ საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, გააუმჯობესონ მომსახურების კულტურა.

რკინიგზის ტრანსპორტით გაგზავნონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის დამატებით სულ ცოტა 750 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

დაჩქარონ კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის სამუშაოები.

ბელორუსული მეთოდის ფართოდ დანერგვისა და და ტვირთზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით შრომის ნაყოფიერება გეგმის გადაჭარბებით 1 პროცენტით გაზარდონ.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 5,2 მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

სათობის დაზოგვისა და **საჰაერო ტრანსპორტის** კომერციული დატვირთვის გადიდების გზით გადაიყვანონ დამატებით 140 ათასი მგზავრი. მიიღონ 2,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

უფრო ინტენსიურად დანერგონ სახალხო მეურნეობაში **სპეციალური ტრანსპორტის** უწყვეტი სახეობანი, მათ შორის ბაგირგზები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მონორელსიანი ტრანსპორტი.

გაზარდონ კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო ხაზებზე სატელეფონო არხების სიგრძე 1,6-ჯერ, დაამთავრონ სოფლად სატელეფონო კავშირგაბმულობის სრული ავტომატიზაცია. ხუთწლედის დამლევისათვის დამატებით უზრუნველყონ ტელეფონებით ქალაქებისა და სოფლების 5 ათასი ოჯახი.

VI. სოციალური განვითარების დარგში

უზრუნველყონ სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამის შესრულება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, ყოველმხრივ სრულყონ და განავითარონ სოციალისტური ცხოვრების წესი, ყოველმხრივ გააააქტიურონ ადამიანის ფაქტორი, გააძლიერონ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალური მიმართულება.

უზრუნველყონ სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების ამოქმედების ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცენ 20 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

არსებითად აამაღლონ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებით, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის დაწესებულებების ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე იმ გზით, რომ შესაბამისად განავითარონ და განაახლონ ამ დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დანერგონ მომსახურების პროგრესული ფორმები, მკვეთრად გააუმჯობესონ მისი ხარისხი და კულტურა.

ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისათვის მუშაობის გაძლიერებისა და დამატებითი სასაქონლო რესურსების გამონახვის საფუძველზე უზრუნველყონ საცალო საქონელბრუნვის სტაბილური ზრდა. შეამცირონ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელში ზენორმატიული სასაქონლო მარაგი, გააააქტიურონ საქონელგაცვლის ოპერაციები, რათა დამატებით რესპუბლიკაში შემოიტანონ საქონელი დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით.

ხუთწლედის დამლევისათვის ტარა-მოწყობილობის გამოყენებით მომუშავე მაღაზიების რიცხვი გაზარდონ 2-ჯერ; საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი, რომლებიც საჭმლის მომზადების ინდუსტრიულ მეთოდებს იყენებენ, 2-ჯერ.

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა გაზარდონ 64 პროცენტამდე.

სრულყონ ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის ვაჭრობის ორგანიზაცია, მათ შორის ქალაქების ბაზრობებზე, საკოლმეურნეო ბაზრებზე და სპეციალურ მაღაზიებში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური განვითარებით გათვალისწინებული დავალებების შესაბამისად ყველა ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა 1,5-ჯერ გაზარდონ, განაგრძონ სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების უპირატესი განვითარების კურსი. მთლიანად რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის 42,1 პროცენტით ზრდის პირობებში უზრუნველყონ სოფლად მისი გადიდება სულ ცოტა 50 პროცენტით. დანერგონ 25 ახალი სახეობის მომსახურება, მომსახურების პროგრესული ფორმები.

1990 წლისათვის უზრუნველყონ, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ტელე-რადიოაპარატურის რემონტზე, ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და სამრეცხაოების მომსახურებაზე.

ახორციელებენ რა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმას, ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდობის პროფორიენტაციისათვის, გაადიდონ საბაზო, საშეფო საწარმოებისა და ორგანიზაციების როლი სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებაში.

უზრუნველყონ კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, მათი მუშაობის ეფექტიანობის გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, ნაახალისონ თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედება.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დაავადებათა თანამედროვე დიაგნოსტიკისა და თავიდან აცილების საკითხებს. მიაღწიონ 1990 წლისათვის მოსახლეობის 80-85 პროცენტის, მათ შორის ყველა ბავშვის დისპანსერიზაციას. ამ მიზნით გაზარდონ პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების გამტარუნარიანობა ცვლაში 130 ათას მოქმედებამდე. ხუთწლეულის მანძილზე საექსპლოატაციოდ გასცენ 6 ათასი საავადმყოფო საწოლი.

განახორციელონ მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების ორგანიზაციისა და კულტურის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. საექსპლოატაციოდ გადასცენ 964 საწოლი ადგილი სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში. ყველა დასასვენებელი სახლი და პანსიონატი გადაიყვანონ ოჯახური დასვენების ორგანიზაციაზე. გეგმის გადაჭარბებით ტურისტულ დაწესებულებებში მოემსახურონ 700 ათას კაცს.

გააფართოონ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სამუშაოები, აითვისონ ამ მიზნით 285 მილიონი მანეთი.

• • •

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მაქსიმალურ ძალ-ღონეს მოახმარენ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, თავიანთ წვლილს შეიტანენ პარტიის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიის რეალიზაციაში, საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარებაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნ. ი. რიჟკოვი ფინეთში

ჰელსინკი, 8 იანვარი. საკავშირო სპეც. კორ. ნიკოლოზ ბორხუნოვი და ვადიმ ტალანოვი გვატყობინებენ: დღეს დღის პირველ ნახევარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა, რომელიც ფინეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, ქალაქ ტურკუში ყოველებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი. ეს ძეგლი დაძობილებული ქალაქ ლენინგრადის ძეგლია ფინეთის დამოუკიდებლობის 60 წლისთავის აღსანიშნავად.

ძეგლის ყვავილებით შემკობას ესწრებოდნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, საბჭოთა დელეგაციის წევრები, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირისა" და ქალაქის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეწვია საავტომობილო საზოგადოება „რაილიინო ტეპტაატის" კვების მრეწველობის საწარმოს, რომელიც დასპეციალებულია მემცენარეობის პროდუქციის გადამუშავებაზე.

ნ. ი. რიჟკოვმა დაათვალიერა საწარმოს საამქროები, ესაუბრა ხელმძღვანელებსა და მუშებს.

ფირმის გენერალურმა დირექტორმა ე. ჰალონენმა უამბო სტუმარს თუ როგორ ეძიებენ საწარმოში მეცხოველეობისათვის ახალ სახეობათა მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებისა და შეწონასწორებული საკვების წარმოების გზებს. საუბრის დროს აღინიშნა, რომ საკვიროა კვლავაც განვითარდეს საბჭოთა ორგანიზაციებთან კონტაქტები და თანამშრომლობა. ფირმის ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ ისინი დიდი დაინტერესებით ეკიდებიან საბჭოთა კავშირ-ფინეთის ერთობლივი საწარმოების შექმნას და განაცხადეს, რომ მზად არიან ითანამშრომლონ ამ მიმართულებით.

საკვიცო საზოგადოება „ვიარტსილია" ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოში, როგორც სხვადასხვა დანიშნულების ხომალდების წარმოების უდიდესი კონცერნი. მის გემთსაშენებში საბჭოთა კავშირისათვის 1932 წლიდან აშენდა დაახლოებით 500 ხომალდი. კონცერნის საერთო ექსპორტში ჩვენი ქვეყნის წილი ახლა შეადგენს დაახლოებით 40 პროცენტს.

ტურკუს გემთსაშენი ტრადიციულად ასრულებს ჩვენი ქვეყნის დიდტონაჟიანი გემების მშენებლობის მნიშვნელოვან შეკვეთებს. დღეს აქ ჩამოვიდა ნ. ი. რიჟკოვი, იგი გაეცნო ფირმის მუშაობის ორგანიზაციას.

განმარტებებს აძლევდა კონცერნის დირექტორ-განმკარგულებელი ტ. სტოლპე. ტურკუს გემთსაშენი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეა მსოფლიოში, რომელშიც შენარჩუნებულია და ვითარდება მრავალი წლის ტრადიცია გემთმშენებლობის დარგში. სსრ კავშირთან თანამშრომლობის 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გემთსაშენში აშენდა 355 ხომალდი. ეს შესაძლებელი გახდა ორი ქვეყნის კარგი ურთიერთობის, აგრეთვე „ვიარტსილიასა" და საბჭოთა სამინისტროებისა და გაერთიანებების მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობის მეოხებით.

ფირმის ხელმძღვანელობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს საბჭოთა მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტი. კონცერნი ესწრაფვის მათი მიწოდების გაფართოებას.

ამავე დღეს ნ. ი. რიჟკოვი ჰელსინკში დაბრუნდა. მოგზაურობის დროს მას თან ახლდა კ. სორსა. ნაშუადღევს ნ. ი. რიჟკოვმა გამართა პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის, რომლებიც აშუქებენ ვიზიტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1987 წლის 8 იანვარს 78 წლისა გარდაცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ბრიგოლ სილიბისტროს ძე ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა გ. ს. ვაშაკიძის დამკრძალავი კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ბ. ა. ზატუაშვილის თავმჯდომარეობით.

საქართველოს სსრ მეცნიერთა მეთორმეტე ხუთწლედისა და 1987 წლის

სოციალისტური ვალდებულებანი

1987 წლისათვის

(დასასრული)

საქართველოს სსრ მშრომელებმა, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ შეუშავებული ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ფართო პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის გაშლილ ბრძოლაში, 1986 წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომ განვითარებაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

4,6 პროცენტით გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა 1986 წელს გეგმით დამტკიცებული 4,2 პროცენტის ნაცვლად. 1986 წელს გეგმის გადაჭარბებით აწარმოეს 147,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 41 პროცენტით, რისი მეოხებითაც მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 87 პროცენტი.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა მრავალი უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი ნატურალური გამოსახულებით, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

დადებითი ძვრებია მიღწეული რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში. შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო შესყიდვის, მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების დავალებანი. საზოგადოებრივ სექტორში სოფლის მეურნეობის ძოლიანი პროდუქცია გაიზარდა 6,7 პროცენტით მეთორმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობასთან შედარებით; მთელი მისი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

აღებულია მტკიცე სტარტი მეთორმეტე ხუთწლედისათვის დასახული ხალხის კეთილდღეობის გადიდების დიდი მასშტაბის ამოცანების რეალიზაციაში. 1986 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 1317 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. კიდევ უფრო განვითარდა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი. 1986 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გადიდდა 6,2 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციისა კი — 6,4 პროცენტით.

შესრულდა ძირითად სახეობათა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის სოციალისტური ვალდებულებანი.

1986 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში დადებითი შედეგები მიღწეულია იმის მეოხებით, რომ ხორციელდება ეკონომიკის ყველა დარგში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნის, ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლის შემდგომი გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივ დაჩქარების, შრომითი პოტენციალის, ყველა სახეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების მიზანმიმართული ღონისძიებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მითითებათა საფუძველზე საქართველოს სსრ მშრომელები ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი ოქტომბერის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კისრულობენ 1987 წლის შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დარგში

უზრუნველყონ რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური ზრდა განვითარების უპირატეს ინტენსიურ გზაზე სახალხო მეურნეობის გადაყვანის მეოხებით. განაგრძონ მართვის, პარტნიორობის გაფართოებისა და გაღრმავების, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ყველა ფორმის სრულყოფის ეფექტიანი მეთოდების ძიება, რათა დააჩქარონ მეცნიერული ნამუშევრების პრაქტიკული რეალიზაცია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

დანერგონ რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციების 120-ზე მეტი დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევარი. განახორციელონ „იმ ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის 100-ზე მეტი ღონისძიება, რომლებიც ალიმიტებენ წარმოების განვითარებას, და მიიღონ 50 მილიონ მანეთზე მეტი. ეკონომიკური ეფექტი.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების გზით მიიღონ შრომის ნაყოფიერების საერთო მატების 75 პროცენტი მრეწველობაში, 50 მილიონი მანეთით შეამცირონ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება.

აითვისონ ახზე მეტი დასახელების ახალ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვება, მათ შორის 70-ზე მეტი დასახელებისა — მანქანათმშენებლობაში.

2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გეგმა.

ვადამდე დანერგონ რესპუბლიკის საწარმოებში 40-ზე მეტი მანიპულატორი, სამრეწველო რობოტი და რობოტექნიკური კომპლექსი, 60 რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხი, 30 მექანიზებული და ავტომატიზებული უბანი, საამქრო და წარმოება.

საერთო დანიშნულების პროცესორების ბაზაზე აამოქმედონ გამოთვლითი კომპლექსები; ვადამდე ჩაყენონ მწყობრში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა ეს-1061 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

ხელის შრომის გამოყენების შემცირების რესპუბლიკური პროგრამის განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობაში მექანიზებულ შრომაზე გადაიყვანონ 21 ათასი მუშა. მრეწველობაში ხელის შრომით დასაქმებულთა ხვედრითი წილი შეამცირონ 1,6 პროცენტით.

გააქტიურონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის, სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის მუშაობა. მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაში მუშათა მოცვის დონე გაზარდონ 78 პროცენტამდე, სოფლის მეურნეობაში — 38, მშენებლობაში — (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე) 47 პროცენტამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მომუშავე ბრიგადების შექმნას.

მოთხოვნის კონიუნქტურის უფრო ღრმა შესწავლისა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხიადი მზარდი მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე განაახლონ მოდელებისა და სახეობების მიხედვით აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების ასორტიმენტი, შესაბამისად 30 და 12 პროცენტით, შალის პროდუქციისა — 52 პროცენტით, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟისა — 44 და 55 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 65 პროცენტით, ფეხსაცმლისა 72 პროცენტით.

II. მატერიალურ-ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის დარგში

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში რესურსდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მატერიალური რესურსების ხარჯვის პროგრესული ნორმებისა და ნორმატიკების სისტემის ფართო დანერგვის, დანაკარგების მაქსიმალური შემცირების გზით გადააჭარბონ დადგენილ დავალებებს და დაზოგონ 23 ათასი ტონა ლითონნაგლინი, 58 ათასი ტონა ცემენტი, 68 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 110 ათასი გჯოულიანი თბოენერგია, 170 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 105 ათასი ტონა სათბობი.

დაზოგილი რესურსების ხარჯზე წარმოების მოთხოვნილებათა მატება 60-65 პროცენტით დაკმაყოფილონ.

გააძლიერონ მუშაობა ნამზადის მოცულობის ზრდისა და წარმოებაში მეორეული რესურსების მოქცევისათვის, ამის მეოხებით დაზოგონ 60 მილიონი მანეთის პირველადი ნედლეული.

III. მრეწველობის დარგში

1987 წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის 40 მილიონი მანეთისა.

0,2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით. გადაჭარბებით შეასრულონ თვითღირებულების შემცირების დავალება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად ვადამდე დაამზადონ რიცხვული პროგრამული მართვის სახარატო ნახევრადავტომატის ნიშული 680 მილიმეტრამდე დიამეტრის ნაწარმის დამუშავებისათვის, მეირეგვბარიტიანი ტრაქტორების პირველი საცდელი პარტია — ათი ცალი.

მკაცრად დაიცვან მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 25 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 5 ათასი ტონა ქვანახშირი, 1 ათასი ტონა თუჯი, 1,5 ათასი ტონა ფოლადი, 1 ათასი ტონა შავი ლითონის მზა ნაგლინი, 1 ათასი ტონა ფოლადის მილები, 10 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, 0,2 ათასი ტონა კაროლაქტამი, 2 ათასი ტონა მინერალური სასუქი, ნავთობის მოპოვებისათვის საბჭირო 50 ცალი ჩასაძირი ელექტროძრავა, 250 ცალი ფერადი ტელევიზორი, 100 ტონა ქაღალდი, 15 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, 25 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი, 40 ათასი წყვილი წინდა, 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 500 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 1,1 ათასი ტონა პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი, 4,7 ათასი ტონა დაფასოებული ჩაი, 5 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი, 500 ათასი მანეთის ავეჯი.

IV. აგროსამრეწველო კომპლექსისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის დარგში

განაგრძონ აგროსამრეწველო კომპლექსში დარგშორისი პროპორციებისა და საწარმოო კავშირურთიერთობის სრულყოფა, მიაღწიონ გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა შეწონასწორებას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების დაგეგმილ მოცულობასთან. განახორციელონ პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილების ღონისძიებანი მისი წარმოებისა და გადამუშავების მთელ ციკლში.

გაზარდონ მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა 105 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 193 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 188 ათას ტონამდე, ყურძნისა — 520 ათას ტონამდე, ხილისა — 455 ათას ტონამდე, ბოსტნეულისა — 410 ათას ტონამდე, ხორცისა — 181 ათას ტონამდე, რძისა — 296 ათას ტონამდე, მატყლისა — 3,5 ათას ტონამდე, კვერცხისა — 567 მილიონ ცალამდე, უზრუნველყონ 125 ათას ტონამდე მზა შავი და მწვანე ბაიხაოს ჩაის გამოშვება.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ ახალი და რეკონსტრუირებული საშრობი სისტემები 5 ათას ჰექტარ ფართობზე, წელიწადში 22 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის გამომშვები აგარის საკონსერვო ქარხანა.

V. კაპიტალური მშენებლობის დარგში

ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობის შემცირების, მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე შეასრულონ კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამა, კარდინალურად გაზარდონ მისი ეფექტიანობა.

საიჯარო სამუშაოების დავალებანი ვადამდე შეასრულონ.

განაგრძონ მუშაობა, რათა საშეფო დახმარება გაუწიონ, ამასთან უზრუნველყონ, რომ:

— ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის.

— ვოლოგდის ოლქში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ამასთან საექსპლოატაციოდ გადასცენ 3 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზების ქსელი და 600 ჰექტარი დამრობილი მიწა;

— ნერნიგოვის ოლქში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ამასთან საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და 250 კვადრატული მეტრი ფართობის სასურსათო საქონლის მაღაზია;

— ტიუმენის ოლქში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, ამასთან საექსპლოატაციოდ გადასცენ 20 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

დაამთავრონ კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის რეკონსტრუქცია, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესის“ ექსპერიმენტული ქარხნის ტექნიკური განახლება, განაგრძონ თბილისის მეტროპოლიტენის გლდან-ვარკეთილისა და დელის-ვაჟა-შუაველას პროსპექტის ხაზის მშენებლობა.

მიაღწიონ საბინაო მშენებლობის ხარისხის არსებით გაუმჯობესებას, საექსპლოატაციოდ გადასცენ სულ ცოტა 80 პროცენტი გაუმჯობესებული ხარისხის ბინები და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

იმ საწარმოთა მუშაკებმა, რომლებიც უშუალოდ ეწევიან საბინაო მშენებლობას ან მასში ნილობრივ მონაწილეობას იღებენ, იმუშაონ ამ ობიექტების მშენებლობაზე უსასყიდლოდ სულ ცოტა 4 დღეს მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

განაგრძონ კომუნალური მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და დაცვა-შენახვის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. 25 დეკემბრამდე შეასრულონ კაპიტალური რემონტის გეგმა. გაუმჯობესონ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, გამწვანების სამუშაოები, სანიტარიული მდგომარეობა.

სამშენებლო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის მიზნით მიაღწიონ ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის რიტმულ და სრული მოცულობით შესრულებას, როგორიც არის ცემენტი, საკედელი მასალები, ახალწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და ნაწარმი.

ვადამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის დაამთავრონ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის მშენებლობის სამუშაოები, აამოქმედონ საწარმოო გაერთიანება „ენგურჰესგანაშენი“ 125 ათასი ტონა მანგანუმის მადნის მომპოვებელი სიმძლავრეები, ააშენონ ქალაქ თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზა, საექსპლოატაციოდ გადასცენ აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური — მუხრანის ველის 500 კილოვატი სიმძლავრის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

VI. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

ტრანსპორტის მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების, მისი მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდების მიზნით გეგმის გადაჭარბებით რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდონ 150 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ვაგონების ბრუნვა დაანქარონ 0,1 საათით. წლის მანძილზე დაზოგონ 2 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მატარებლების წევაზე და 300 ტონა დიზელის საბობი.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით დამატებით გადაზიდონ მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. 9,6 საათამდე გაზარდონ სატვირთო ავტომობილის მუშაობის საშუალო სადღეღამისო ხანგრძლივობა.

სათბობის დაზოგვის, საპაერო ტრანსპორტის კომერციული დატვირთვის გადიდების გზით დამატებით გადაიყვანონ 20 ათასი მგზავრი. მიიღონ გეგმის გადაჭარბებით 100 ათასი მანეთი მოგება.

ყველა სახეობის ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, 250 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობის გეგმა.

VII. სოციალურ-კულტურული განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში

უზრუნველყონ მოსახლეობის ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის, შრომისა და საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, ააშენონ სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობათა სოციალურ-კულტურული მომსახურების დონე, განათლებისა და კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტიანობა.

ვაჭრობის საწარმოთა კოლექტივების დარაზმვის საფუძველზე 1986 წლის გეგმასთან შედარებით 3,4 პროცენტით უზრუნველყონ საცალო საქონელბრუნვის ზრდა უალკოჰოლო სასმელების რეალიზაციის გარეშე.

სახელმწიფო ვაჭრობის საცალო ქსელში ზენორმატიული სასაქონლო მარაგი შეამცირონ 20 მილიონი მანეთით, სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელში 35 მილიონ მანეთამდე.

უზრუნველყონ საქონელგაცვლითი ოპერაციების გაფართოება, ამასთან გამოაბრონ დეფიციტურლიზებული შესყიდვის წესით 200 მილიონი მანეთის საქონლის შემოზიდვის დამატებითი რესურსები, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 110 მილიონი მანეთისა.

მოამზადონ მასობრივ პროფესიათა სულ ცოტა 5.700 კვალიფიციური მუშაკი საკაჟრო ქსელში მუშაობისათვის, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 1.500 კაცი.

განსრულონ 350 ათასი მანეთის მოცულობის ზეგეგმითი საყოფაცხოვრებო მომსახურება. განაგრძონ სოფლის სამსახურისა და არამასალატევად სახეობათა მომსახურების უპირატესი განვითარების კურსი. დანერგონ 10 ახალი სახეობის მომსახურება. მოამზადონ უშუალოდ წარმოებაში ამ სფეროს სხვადასხვა პროფესიის 1,8 ათასი მუშა.

მოსახლეობის დისპანსერიზაციისათვის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მუშაობის სრულყოფის გზით 1987 წლის დამლევისათვის მიაღწიონ, რომ პროფილაქტიკურმა გასინჯვამ მოიცვას რესპუბლიკის მოელი მოსახლეობის 65-70 პროცენტი.

განახორციელონ შრომითს კოლექტივებთან კულტურის დაწესებულებათა კონტაქტების გაძლიერების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობის ეფექტიანობის გადიდების, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი.

გაუმჯობესონ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება. მასობრივი ბიბლიოთეკების ნიგნების ფონდი გაზარდონ 100 ათას ეგზემპლარამდე, ხოლო გაეცემის მოცულობა წელიწადში მილიონ წიგნამდე.

25 დეკემბრისათვის შეასრულონ კინოფიკაციისა და კინოგაქირავების გეგმა, ამასთან მიიღონ 45 ათასი მანეთით მეტი მოლიანი მოგება. 18 ერთეულით გაზარდონ კინოდანადგარების რაოდენობა.

20 დეკემბრისათვის შეასრულონ კულტურის ძეგლთა რესტავრაციის დავალებანი, ამასთან დამატებით აითვისონ 10 ათასი მანეთი.

განაგრძონ საგამომცემლო საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. ლიტერატურის გამოშვების გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ახალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული სამუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებისა — 27 იანვრისათვის. გამოუშვან და გაანაწილონ გეგმის გადაჭარბებით 50 ათასი მანეთის წიგნისა და სხვა პროდუქცია.

* * *

საქართველოს სსრ მშრომელები მხურვალედ მხარს უჭერენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აღუოქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მის პოლიტბიუროს, რომ მთელი მუშაობის ძირეული გარდაქმნის, წარმოების ზრდისა და ეფექტიანობის გადიდების რეზერვების ძიების სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე უზრუნველყოფენ დავალებათა მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

სოციალისტური ვალდებულებები განიხილეს და მიიღეს შრომითს კოლექტივებსა და საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე 1986 წლის 24 დეკემბერს.

„საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“

დამტკიცებულია ერთიანი კომპლექსური პროგრამა „საქართველოს სსრ: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“. მის მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის სახმშენი, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, დიდი საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები.

— რა მიზანი აქვს პროგრამის შექმნას და რა მნიშვნელობა აქვს მას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში? საქინფორმის კორესპონდენტის **რ. დავიდოვის** ამ კითხვით დაიწყო საუბარი რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ლენინური პრემიის laureate **ი. ს. ჟორდანიასთან.**

— პარტიის XXVII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა საჭიროდ ცნეს გადაჭრით გადავიდეთ ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე, მუშაობის ეფექტიანობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, წარმოების საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევაზე, — თქვა ირაკლი ჟორდანიამ, — ეს შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მეოხებით. მომდინარე ხუთწლედში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის — შრომის ნაყოფიერების მატების სამ მეოთხედს სწორედ სამეურნეო პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის გზით უნდა მივაღწიოთ.

ზოგიერთი დადებითი ძონაცემის მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედება საკმაოდ ინტენსიურად არ მმდინარეობს, მეცნიერები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ ახალ ნაშუშერებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. და არა იმიტომ, თითქოს სუსტი სამეცნიერო პოტენციალი გვქონდეს. პირიქით, იგი მნიშვნელოვანია. გადიდებულ მოთხოვნებს ჩამორჩა მეცნიერების განვითარების მართვა. ამას ის მოჰყვა, რომ ახლად ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი მის საერთო მოცულობაში მცირეა. დამტკიცებული პროგრამა ხელს შეუწყობს მეცნიერთა ძალისხმევის კოორდინაციას, მათს მუშაობას მიზანმიმართულებას მიანიჭებს და უფრო სწრაფად უზრუნველყოფს მის სახალხო-სამეურნეო შედეგიანობას.

წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სწრაფი დანერგვის უზრუნველყოფა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავება, სახალხო მეურნეობის ველა დარგის ტექნიკური განახლება კომპლექსური პროგრამაა. იგი უნდა წყდებოდეს მართვის ყველა დონეზე პირველადი რგოლებით დაწყებული და სამინისტროებით დამთავრებული.

კომპლექსური პროგრამა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების განვითარების ერთიანი კონცეფციაა და განსაზღვრავს საჭირო ძვრებს ტექნოლოგიაში, პრიორიტეტებს ცალკეული სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაში. მასში სამი ურთიერთდაკავშირებული კარია: „მეცნიერება“, „ტექნიკა“ და „ხარისხი“. მის შესასრულებლად საჭიროა 1000-ზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება.

— ხომ არ დააკონკრეტებთ თქვენს ნათქვამს?

— სიამოვნებით. მაგალითად, უბნების კომპლექსური მექანიზაციიდან კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლა მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში 26,4-დან 15,6 პროცენტამდე შეგვამცირებინებს რესპუბლიკაში ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა ხვედრით წილს.

თუ მოქმედი ტექნიკის მიმდინარე სრულყოფა, ანუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ევოლუციური ფორმა საშუალებას გვაძლევს 10-15 პროცენტით გავზარდოთ შრომის ეფექტიანობა, პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოყენება, ანუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რევოლუციური ფორმა ორ-სამჯერ გაზრდის მუშათა გამომუშავებას. სხვაობა, როგორც ხედავთ, უდიდესია. ამასთან მნიშვნელოვანწილად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ევოლუციური ფორმის ტყვეობაშია ვართ. ყოვნდება რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების წარმოების ათვისება, ჯერჯერობით უპირატესობა ენიჭება ლითონსაჭრელი და სხვა აგრეგატების გამოშვებას, რომლებიც წარმოებაში 20-30 და მეტი წლის წინათ გამოიყენებოდა.

პროგრამაა ითვალისწინებს ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, კავშირგაბმულობის სამინისტროების წამყვან საწარმოებში მოქმნილი ავტომატიზებული საწარმოო სისტემების შექმნას. მათი დანერგვის შედეგად მოსალოდნელი მთლიანი ეკონომიკური ეფექტი წელიწადში დაახლოებით 6,5 მილიონ მანეთს შეადგენს. გარდა ამისა, მძიმე ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლება დღეს ამ საწარმოებში დასაქმებულ მუშათა 70 პროცენტი. 1986-1990 წლებში კი თბილისის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებებში „ანალიზელსაწყოში“, „ელვაში“, დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებასა და რესპუბლიკის სახსპეცტრანსში დაპროექტების ავტომატიზაციის სისტემების შექმნა არსებითად გაიუმჯობესებს საპროექტო ადაწყვეტათა ხარისხს და შეამცირებს პროექტების შემუშავების ვადებს.

გათვალისწინებულია 600-ზე მეტი რობოტექნიკური საშუალება დაინერგოს მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში.

საერთოდ პროგრამაში „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელის შრომის გეგმაზომიერ ლიკვიდაციას.

მთლიანად პროგრამა ითვალისწინებს ხელის შრომისაგან გათავისუფლის 100 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის მრეწველობაში — დაახლოებით 22 ათასი, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში — 70 ათასამდე, მშენებლობაში — 6 ათასზე მეტი და ა. შ.

ამ ამოცანის განხორციელების რეალობას განსაზღვრავს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო გამოკვლევების დაჩქარება, რომლებიც წარმოებს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე აქტიური მიმართულებებით. არ უნდა შეგვიგდეთ იმ თემების ნელა დამუშავებას, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVII ყრილობის მიერ წამოყენებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის.

ვფიქრობთ, უფრო ენერგიულად უნდა განვავითაროთ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობის ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების შექმნა, რომლებშიც შევა აკადემიის ინსტიტუტი, საექსპერიმენტო ქარხანა ან სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, განვაგრძოთ წარმოებაში დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორიების შექმნა კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვიწრო უბანი კვლავ სიაბლეთა დანერგვის პრობლემაა. ეს ხშირად უმტკივნეულოდ როდი ხდება. ამიტომ ბევრი უკვე შესრულებული მეცნიერულ-ტექნიკური ნაშუშევარი, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოცემა, წლობით ვერ ინერგება პრაქტიკაში.

პროგრამა ითვალისწინებს მუდმივი „დანერგვის სამსახურების“ შექმნას, რომლებშიც უნდა გაერთიანდნენ როგორც შემმუშავებლები, ისე იმ საამქროთა მუშაკები, რომლებშიც დაგეგმილია სიახლის დანერგვა, აგრეთვე ყველაზე ეფექტიან სიახლეთა დანერგვისათვის შექმნილი დროებითი კოლექტივები. სამინისტროებმა და უწყებებმა სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან, საწარმოების სპეციალისტებთან ერთად უნდა შექმნან ქმედითი მექანიზმი წარმოებაში სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სწრაფი დანერგვისათვის.

— როცა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ეხება საქმე, გვერდს ვერ ავუვლით ხარისხის საკითხს, მით უმეტეს, რომ პროგრამაში მის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა...

— ხარისხი მრავალი თვალსაზრისით სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საწყაოა. მის გაუმჯობესებაში გარკვეული წარმატებები მიღწეულია. მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი. ბევრ სამინისტროში, მიტ წილ საწარმოებში შექმნილია ხარისხის მართვის სისტემები, მოქმედებს სახელმწიფო მიღება. და მაინც, საქართველოს საწარმოებში ხარისხიანი, გემოვნებით დამზადებული ნივთის შეძენა ჭირს. არც რეკლამაციები წყდება. ყოველი ნაწარმი, როგორც ყველამ კარგად ვიცით, შემუშავებით იწყება. მაგრამ უკვე ამ სტადიაზე ვაწყდებით ბევრ შეუსაბამობას. მაგალითად, შარშან მრეწველობაში ათვისებული ყველა ახალი ნაწარმიდან დაახლოებით ნახევარს ჩამოერთვა ხარისხის უმაღლესი კატეგორია, რადგან არ გამოირჩეოდა სიახლით. არსებითი ნაკლოვანებებია პროდუქციის წარმოების სტადიაზეც. მდარე ხარისხის შედეგია მისი არაკონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ხარისხ

ვერსია
ფაქტები • მოვლენები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. ი. ალავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამსახურების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვალენტინ ისიდორეს ძე ალავიძე დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1987 წლის 9 იანვარი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მშვიდობისა და განიარაღების პროგლემათა კვლევის სამეცნიერო საბჭოს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის

მიმართვა

თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენისათვის ბირთვული ომის თავიდან აცილების აუცილებლობა საკაცობრიო მნიშვნელობის ძირითად პრობლემად იქცა. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები დათანხმდნენ იმას, რომ ბირთვული ომის წარმოება არ შეიძლება და მასში არ იქნებიან გამარჯვებულები, რომ საჭიროა ესწრაფვოს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას. რეიკიავიკში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრამ ცხადყო, რომ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ მორიგება რეალურია არა რაღაც გაურკვეველ შორეულ მომავალში, არამედ უკვე ახლა, ამქამად არსებული მსოფლიოს პირობებში.

ბირთვული ომის რისკის თავიდან აცილებისათვის საჭიროა აქტიური და სასწრაფო ღონისძიებანი, რათა წინააღეუდგეთ ბირთვული იარაღის ახალი სისტემების შემუშავებას, დავამუხრუჭოთ, შემდეგ კი მთლიანად შევწყვიტოთ გამაღლებული ბირთვული შეიარაღება. შევუდგეთ ბირთვული იარაღის მთლიანად და ყველგან ლიკვიდაციას. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ კაცობრიობის საერთო კუთვნილების — მშვიდობიანი კოსმოსური სივრცის შენარჩუნების პირობებში.

შემოწმების დაქვემდებარებული ბირთვული გამოცდების აკრძალვა შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი აღნიშნული მიზნების მიღწევის გზაზე. მას შეუძლია დასაბამი მისცეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობისაკენ, თანამშრომლობის, ურთიერთგაგების, თანამედროვე ცივილიზაციის გლობალური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტისაკენ მტკიცე შეშობრუნებას. არ შეიძლება ამ ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება.

1985 წლის 6 აგვისტოდან შემოღებული ბირთვული გამოცდების ცალმხრივი საბჭოთა მორატორიუმი ძალას ინარჩუნებს და შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ იგი როგორც მინიმუმ ორმხრივი, საბჭოთა — კავშირ-ამერიკის მორატორიუმი გახდება.

გენერალური ასამბლეის 41-ე სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებას უწოდა „უპირველესი მნიშვნელობის“ საქმე და ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებს მოუწოდა ძალ-ღონე არ დაიშურონ და გამოიჩინონ პოლიტიკური ნება, რათა დაუყოვნებლივ შეიმუშაონ და დადონ ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ.

მშვიდობისა და განიარაღების პრობლემათა კვლევის სამეცნიერო საბჭო იზიარებს ამ მოსაზრებას და საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო ორგანიზაციებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს მოუწოდებს გამოიყენონ თავიანთი გავლენა, რათა ხელიდან არ გაუშვან გამალებული ბირთვული შეიარაღების შეჩერების უნიკალური შესაძლებლობა და არ დაუშვან ბირთვული გამოცდების საბჭოთა მორატორიუმის ჩაფუშვა.

დარწმუნებული ვართ, რომ თანამედროვეობის მკაცრი რეალობანი, რომლებსაც კაცობრიობა აწყდება, მოითხოვს ცივილიზაციის ბედით შეშფოთებული ყველა ადამიანის დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ მოქმედებას.

ამ კეთილშობილურ საქმეში სამეცნიერო საბჭო მზადაა ითანამშრომლოს ყველა მეცნიერთან და სამეცნიერო ორგანიზაციასთან, რომლებიც იზიარებენ აზრს, რომ ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტის ამოცანის გადაწყვეტის გადადება არ შეიძლება.

როგორ გვემსაჯურებიან

სად შევიძინოთ ყველაფერი სახლისათვის?

ზამთრობით ყველგან ბევრია ქვანახშირის, შეშის, ნავთის ან ღუმლის სათბობის ყიდვის მსურველი. გამონაკლისი არც აჭარაა, სადაც ასობით ინდივიდუალური სახლი ღუმლით თბება. მათ მფლობელებს სათბობით ამარაგებს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსათბობმშენვაჭრობის“ აჭარის განყოფილება.

— მაგრამ, ყველა მსურველის განაკმაყოფილებ დაკმაყოფილება არ შეგიძლია, — თქვა ფილიალის დირექტორმა ო. კეპეყმაძემ, — რადგან საკმაოდ შეზღუდულია „საქსათბობმშენვაჭრობის“ მიერ გამოყოფილი ფონდები. მაგალითად, შარშან საჭირო 2310 ტონა ქვანახშირის ნაცვლად 2256 ტონა გამოგვიყვეს. მოთხოვნილებაზე თითქმის ერთიორად ნაკლები შეშა, ნავთი, ღუმლის სათბობი მივიღეთ.

არასახარბიელო მდგომარეობაშია აჭარის განყოფილება, რომლის ერთ-ერთმა ქვეგანყოფილებამ ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა საშენი და ხეტყის მასალით, სანტექნიკით, პირადი დამზმარე მეურნეობებისა და კოლექტიური მებაღეობისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ინვენტარით. მაგრამ თავისი ტერიტორია, სადაც განლაგდებოდა ამგვარი შენახვისათვის საკმარისი სასაწყობო შენობები, გაერთიანებას არა აქვს.

მაშ, რა გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან, რომელიც, სხვათა შორის, მარტო აჭარაში არ შექმნილა. მით უმეტეს, რომ პრობლემას ორი მხარე აქვს: მოსახლეობაც შეშუხებულია და ვაჭრობაც გვარიან შემოსავალს კარგავს.

— ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება დაუქვემდებაროს ხე-ტყითა და საშენი მასალებით მოვაჭრე წინათ უწყებრივად დაქსაქსული ყველა ობიექტი „საქვაჭრობმშენმასალას“ — ახლა ასე ეწოდება საქართველოს რესპუბლიკურ საბითუმო-საცალო გაერთიანებას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მისმა დირექტორმა ჯ. ნინუამ. — გაერთიანების, როგორგანიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს ნაშენმენელოვნად გავაუმჯობესოთ მყიდველთა მოთხოვნის შესწავლა და საბოლოო ანგარიშით — თვით მოსახლეობის მომარაგება ხე-ტყითა და საშენი მასალებით.

მალე რესპუბლიკაში დაგეგმილია შეიქმნას ხე-ტყითა და საშენი მასალებით, აგრეთვე თანამედროვე საქონლით მოვაჭრე თანამედროვე კომპლექსები. მომხმარებელი, რომელიც ეწევეა სავაჭრო საწყობმაღაზიებს, შეძლებს შეიძინოს ყველა საჭირო მასალა ბინებისა და ბაღ-ბოსტნების ნაკვეთების რემონტისა და მოვლისათვის.

კერძოდ, წელს ბათუმში აიგება ასაწყობ-დასაშლელი საწყობი, რომლის სასარგებლო ფართობი 570 კვადრატული მეტრი იქნება. აქვე გაიხსნება თანამედროვე საქონლის მაღაზიები. ანალოგიური საწყობ-მაღაზიები გაჩნდება ქობულეთშიც. რაც შეეხება ფოფდებს, ისინი ახლა ბევრად უფრო სრულად შეესებამება მოსახლეობის მოთხოვნილებას სათბობსა და საშენ მასალაზე. მართალია, არის ზოგიერთი სირთულე ნავთით მომარაგებაში. ნაწილობრივ მის ნაკლებობას ანაზღაურებს ღუმლის სათბობი — 1987 წლისათვის იგი მოთხოვნილი სამი ათასი ტონის ნაცვლად რვა ათასი ტონა გამოგვიყვეს. მარაგით მიეცემა ქვანახშირიც, ხოლო ვაჭრობის შეკვეთები ისეთ საშენ მასალებზე, როგორც არის ცემენტი, შიფერი და სხვა, მთლიანად დაკმაყოფილებულია.

გეგმები გაერთიანებას დამაიმედებელი აქვს. საინტერესოა, როგორ შესრულდება ისინი?

როდემდე!..

იანვარს სიცივემ საგრძნობლად შეცვალა სატვირთო მატარებლების მოძრაობის გრაფიკი. გახშირდა მათი მოცდენის შემთხვევები. მაგალითად, ბევრი დაუცლელი ვაგონი მოგროვდა რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებზე. ბათუმში მათმა რიცხვმა უკვე 68 ერთეულს მიაღწია, ხოლო ბორჯომში — 56-ს. თვეზე მეტ ხანს ელოდება გადმოცლას 27 ვაგონი ჩაქვში. კვლავინდებურად ცდება სატვირთო ვაგონები სახაგრომრეწვის და ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტების მიზეზით. სულ რესპუბლიკაში 8 იანვრის მონაცემებით 196 დაუცლელი ვაგონი დაგროვდა.

ამერიკის პრესის ფურცლებზე

ბოლო მოვუღოთ უსარგებლო ემბარგოს

გაზეთი „ნიუსდეი“ გმობს „სანქციებს“ სსრ კავშირის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემოღებულ დისკრიმინაციულ საგაჭრო-ეკონომიკურ ღონისძიებათა მანკიერებასა და არაეფექტიანობაზე წერს გაზეთი „ნიუსდეი“.

რვა წლის წინათ, აღნიშნავს იგი სარედაქციო სტატიაში, კარტერის ადმინისტრაციამ უარი უთხრა სსრ კავშირს გადაეცა ამერიკული ტექნოლოგია ნავთობის მოპოვების დარგში. ოთხი წლის შემდეგ რეიგანის ადმინისტრაცია შეეცადა ხელი შეეშალა საბჭოთა ციმბირიდან დასავლეთ ევროპაში გაზსადენის მშენებლობისათვის. „ორივე ეს კამპანია მარცხით დამთავრდა“, წერს გაზეთი. საბჭოთა კავშირმა დასახულ ვადებში გაიყვანა გაზსადენი.

ფაქტობრივად „სანქციების“ პოლიტიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მეტი ზარალი მიაყენა, ვიდრე საბჭოთა კავშირს. „ამერიკულმა კომპანიებმა, რომლებიც წინათ სსრ კავშირში გზავნიდნენ ენერგეტიკულ მოწყობილობას, მთლიანად დაკარგეს საბჭოთა ბაზარი“.

„ნიუსდეი“ აღნიშნავს, რომ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო მოუწოდებს მთავრობას გააუქმოს საბჭოთა კავშირში არასამხედრო ენერგეტიკული მოწყობილობისა და ტექნიკის ექსპორტის აკრძალვა, და წერს: „სამინისტრო მართალია, დადგა დრო ბოლო მოვუღოთ უსარგებლო ემბარგოს“.

● **ოპოზიციური**

აქტიური მსარდაჭერა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

ვარშავა. პოლონეთმა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მაღალ დონეს მიაღწია.

ამ ურთიერთობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შეხვედრებმა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან, უწინარეს ყოვლისა, მ. ს. გორბაჩოვისა და ვ. იარუზელსკის მოლაპარაკებამ, საბჭოთა ხელმძღვანელის მონაწილეობამ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობის მუშაობაში. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ცნობაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ, რომელმაც შეაჯამა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური სქემინობა გასულ წელს და დასახა ამ დარგის ამოცანები 1987 წლისათვის.

დადებითად შეაფასა რა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აქტიური სქემიანობა მშვიდობის დაცვის, განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის მონაწილეობას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამშვიდობო წინადადებების, განსაკუთრებით იმ ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც ბუდაპეშტის მიმართვაშია ჩამოყალიბებული. პოლონეთი აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს, მათ შორის 2000 წლის დამლევამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამას, აგრეთვე იმ საბჭოთა წინადადებების კომპლექსს, რომლებიც რეიკიავიკში იქნა წამოყენებული.

სხდომაზე აღინიშნა განსაკუთრებული სიშიშროება, რომელსაც საყოველთაო მშვიდობას უქადის ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გეგმები.

ფოტოინფორმაცია



ჩეხოსლოვაკია. ბაქტერიული სასუქი რიზობინი, რომელიც პრაღელმა მეცნიერებმა შექმნეს და სტრანჩიცის საწარმო უშვებს, ბიოტექნოლოგიის პრაქტიკული გამოყენების ნიმუში გახდა. კოჟურის ბაქტერიებს, რომლებსაც რიზობინი შეიცავს, შეუძლიათ ჰექტარზე ნიადაგში 150 კილოგრამი აზოტი შეიწოვონ ჰაერიდან.

სურათზე: რიზობინის დასაფასოებელი ხაზი.
ჩტკ-საკდესის ფოტო.

ოგსტრუქციონისტული პოზიცია

თეთრი სახლი ბირთვული გამოცდების შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას კვლავ ობსტრუქციონისტული პოზიცია უკავია ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის საკითხში. ეს დაადასტურა თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის გამონათქვამმა ჟურნალისტებთან მორიგი შეხვედრის დროს. „ჩვენი თვალსაზრისით, — განაცხადა მან, — სანამ ბირთვული იარაღი ჩვენი ქვეყნისა და დასავლეთის სტრატეგიული თავდაცვის შემადგენელი ნაწილია, ბირთვული გამოცდები აუცილებელია“.

კოლიტიკური ნახატი

საფრთხე მთელი დედამიწისათვის

„პრავდა“, ბრატისლავა.

● **ანგოლა**

კონტრრევოლუციონერთა გასამართლება

ლუანდა. აქ დაიწყო სასამართლო პროცესი იატაკქვეშა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის 29 წევრის გამო, რომელიც აღმოაჩინეს და გაუუნვიძლეს ანგოლის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა.

სახალხო რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე წარმდგარ დამნაშავეებს ბრალად ედებათ ძირგამომთხრელი საქმიანობა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

● აშშ

მძიმე პოლიტიკური გამოცდის წინაშე

კანონმდებელთა მზარდი წინააღმდეგობა თეთრი სახლის პოლიტიკისადმი

ვაშინგტონი. მე-100 მოწვევის კონგრესის მუშაობის პირველ დღეებშივე მკაფიოდ გამოვლინდა „ირან-კონტრასის“ საკანონმდებლო გამოწვეული რეიგანის ადმინისტრაციისადმი ამერიკის საზოგადოებრიობის ნდობის კრიზისი, თეთრი სახლის მილიტარისტული კურსის წინააღმდეგ პროტესტების გაძლიერება.

კანონმდებელთა განსახილველად შეტანილია რეზოლუციათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაბრუნდეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ფარგლებში, დაიცვას და განმტკიცოს რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების რეჟიმი, აკრძალოს ყველა ბირთვული იარაღის გამოცდა, ხოლო, თუ ადმინისტრაცია უარს იტყვის შეუერთდეს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ მორატორიუმს, მკვეთრად შეზღუდოს ბირთვული აფეთქებების სიმძლავრე. საზოგადოებრიობის განწყობილებაში ცვლილებების გათვალისწინებით კონგრესი ადმინისტრაციას ოპოზიციაში ჩაუდგა საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებშიც.

კაპიტოლიუმის ბორცვზე განწყობილებაში აშკარად იგრძნობა დემოკრატების მისწრაფება მაქსიმალურად ისარგებლონ ახალი მოწვევის კონგრესში შეცვლილი ძალთა განაწილებით. შარშანდელი შუალედური არჩევნების შედეგად მათ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატაში უმრავლესობა მოიპოვეს და უკვე მაშინ დაიწყეს იმაზე აშკარად ლაპარაკი, რომ განზრახული აქვთ ისარგებლონ ამით, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლის ინტერესებისათვის. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. თეთრი სახლის პოლიტიკის მრავალ მომართულებისადმი კანონმდებელთა სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის დიდმნიშვნელოვანი მიზეზია ისიც, რომ თვით ამ პოლიტიკამ არსებითად გაიტეხა სახელი, დაკარგა ამომრჩეველთა მხარდაჭერა. როგორც სიბი-ეს ტელეკომპანია აღნიშნავდა, „მარშანაც კი, როცა სენატს კონტროლს უწევდნენ რესპუბლიკელები, კონგრესმა მოიწონა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივების მხოლოდ 56 პროცენტი, მაშინ როცა ხელისუფლების სათავეში მისი ყოფნის პირველ წელს 82 პროცენტი მოიწონა“. ახლა კი, წინასწარმეტყველებს ტელეკომპანია, პრეზიდენტს კონგრესში კიდევ უფრო მძიმე პოლიტიკური გამოცდები ელის. „ადმინისტრაციის საბიუჯეტო პრიორიტეტები, შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში მისი გეგმები, ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისადმი დახმარების პროგრამა უსიამოვნებას წაყენებენ“, აღნიშნავს სი-ბი-ეს. წინათ კაპიტოლიუმის ბორცვზე ეშინოდათ რონალდ რეიგანისა. ახლა სიტუაცია შეიცვალა“.

პრეზიდენტს უჩივიან

ნიუ-იორკი. პრეზიდენტმა რეიგანმა დაარღვია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია და ამიტომ მას სასამართლო პასუხისმგებლობა ეკისრება. ამაში დარწმუნებულია ქალაქ ატლანტის (მიჩიგანის შტატი) 20 წლის მცხოვრები ტოდ შმიდტი, რომელმაც თეთრი სახლის პატრონის წინააღმდეგ სასამართლო სარჩელი აღძრა.

მასში აღნიშნულია, რომ ამერიკის პრეზიდენტის მითითებით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა ირანისათვის იარაღის მიწოდების და იქიდან მიღებული სახსრების ნაწილის ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის გადარიცხვას, კონსტიტუციის იმ დებულების დარღვევა იყო, რომელიც უცხოთის სახელმწიფოებთან ვაჭრობის რეგულირების უფლებამოსილებას მხოლოდ კონგრესს ანიჭებს.

ექიმ-მკვლევრის საგულისხმო დასკვნა

ალკოჰოლი და აპოპლექსია

სპირტიან სასმელებზე უარის თქმა ბევრად ამცირებს ტვინში სისხლის ჩაქცევის რისკს

სპირტიან სასმელებს გადაყოლილნი გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნიან თავის თავს იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ ხელი აიღო ამ დამღუპველ ჩვევაზე. პირველებს ექმნებათ არა მარტო საფრთხე, რომ კიბოსგან დაიღუპონ ან ავტოკატასტროფაში მოჰყვნენ, არამედ აპოპლექსური დარტყმის მსხვერპლნიც გახდნენ.

ასეთ დასკვნამდე მივიდა ამერიკელი მკვლევარი ექიმი რიჩარდ დონაჰიუ, რომელიც მერილენდის შტატის ქ. ბეტესდის გულ-სისხლძარღვთა და ფილტვების დაავადების ეროვნულ ინსტიტუტში მოღვაწეობს. აპოპლექსია (ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილიანობის მესამე ძირითადი მიზეზი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და კიბოს შემდეგ) პრობლემის 12 წლის შესწავლის შედეგად მან დაადგინა, რომ ტვინში სისხლის ჩაქცევა დაახლოებით სამჯერ მეტად მოსდით სპირტიანი სასმელების მოყვარულთ, ვიდრე არამსმელებს. აუმდე ითვლებოდა, რომ ალკოჰოლის მიღებისას აპოპლექსია ემართებოდათ მხოლოდ იმათ, ვისაც მაღალი წნევა ჰქონდა. დონაჰიუ კი აკვირდებოდა ნორმალური სისხლის წნევის მქონე პაციენტებს.

მკვლევარი თავის ანგარიშში, რომელიც შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ ისინი, ვინც ალკოჰოლიან სასმელს შემთხვევიდან შემთხვევამდე სვამს, ორჯერ მეტ რისკს ეწევიან გახდნენ ტვინში სისხლის ჩაქცევის მსხვერპლნი, ზომიერად მსმელნი 2,5-ჯერ, ხოლო ალკოჰოლიკები — სამჯერ არამსმელებთან შედარებით. („ალკოჰოლიკებს“ კატეგორიას იგი მიაკუთვნებს იმათ, ვინც თვეში ოცი-ტრამდე მაგარ სპირტიან სასმელს სვამს).

ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო საგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში დონაჰიუმ განაცხადა, რომ ალკოჰოლზე უარის თქმა „საგრძნობლად ამცირებს აპოპლექსიის რისკს“.

თუ თქვენი სიმაღლისა გრცხვენიათ...

ტანმაღალთა კლუბი პოლონეთში

„მე ვრცხვენოდა ჩემი სიმაღლისა. მეგონა, რომ 180 სანტიმეტრი ქალისათვის მეტისმეტი იყო, ჟამ კი, კლუბში თავი სულ პატარად მოვიჩვენა. ახლა მხრებგაშლილი დავდივარ, ქედს არ ვიხრი. და ეს თქვენი წყალობით მოხდა. გმადლობთ.“ ამგვარი წერილები ხშირად მოდის ვროცლავში, სრულიად პოლონეთის ტანმაღალთა კლუბში. კლუბის წევრობის მსურველებს მხოლოდ ერთ პირობას უყენებენ: ქალის სიმაღლე უნდა იყოს სულ ცოტა 175, ხოლო მამაკაცისა — 185 სანტიმეტრი. კლუბი, რომელიც უკვე 20 წელიწადია მოქმედებს, ტანმაღალ ადამიანებს ეხმარება სიმაღლით გამოწვეული კომპლექსების, აგრეთვე იმ სიძნელეების დაძლევაში, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან. მაგალითად, კლუბის მოთხოვნით საწარმოები ამზადებენ არასტანდარტული ზომის ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ავეჯს. საგულისხმოა, რომ კლუბის 60 წევრი ერთმანეთზე დაქორწინდა, ყველა ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა. კლუბში წარმოიგს ყველაზე ტანმაღალ პოლონელთა აღრიცხვა. რეკორდსმენები არიან პოზნანელი მარია მილიახოვსკაია (198 სანტიმეტრი) და ვომბეჟეზნელი ვლადიმერ სემენტკოვსკი (217 სანტიმეტრი). ამჟამად კლუბი აერთიანებს 5 ათას პოლონელს, აგრეთვე ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის 500 მოქალაქეს.

ყველაზე დღეგრძელი ფინელი

ჰელსინკი. ფანი მატილდა ნიუსტრომი ფინეთის უხნესი მცხოვრებია. ამას წინათ ამ მოხუც ქალს 108 წელი შეუსრულდა.

გაზეთ „ტრიიდონსანტიალში“ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყანაში ამჟამად 209 ფინელია, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი. აქედან 187 ქალია და 22 მამაკაცი.

ბურჟუაზიული პროპაგანდა: ღვარძლი სიცრუისა

პროვოკაციული ტელესიქალბე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალფოთებული არიან ეი-ბი-სის კომპანიის ფილმის „ამერიკის“ გამო

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მატულობს აღშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის ტელეკომპანია ეი-ბი-ნი ამზადებს პროვოკაციას არსებითად მთელი საერთაშორისო გაერთიანების წინააღმდეგ — მას თებერვლისათვის დასახული აქვს უჩვენოს მრავალსერიანი ტელესიყალბე „ამერიკა“. ფილმი ასახავს იმას... თუ როგორ დაიპყრეს ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ჯარებმა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა აღნიშნა, ეი-ბი-სის ხელმძღვანელობამ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნა, რომელმაც პროტესტი განაცხადა სერიალში ამ მსოფლიო ორგანიზაციის სიმბოლიკის, კერძოდ, მისი დროშის, უკანონოდ გამოყენების გამო. მაგრამ „საქმე დახურული არ არის“, აღნიშნა გენერალური მდივნის წარმომადგენელმა. მას განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იურისკონსულტი, რომელიც სწავლობს მომავალი იურიდიული ნაბიჯების შესაძლებლობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ მარაკ გოლდინგმა ეი-ბი-სის პროვოკაციულ ნაყალბევს უწოდა „იმ მრავალი ათასი ახალგაზრდა ადამიანის მძიმე შეურაცხყოფა, რომლებიც ხშირად სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის“. როგორც ცნობილი გახდა, მან გააცნო ტელესიყალბის შინაარსი იმ ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლობებს, რომელთა სამხედრო მოსამსახურეები შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ძალების შემადგენლობაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამერიკის ხელმძღვანელობა ასოციაციის ბიულეტენი „ინტერდეპენდენია“ იუწყება, რომ ეი-ბი-სის მოქმედებამ მრავალი მათგანის უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია.

დამნაშავეობის სამყარო

აისდება თუ არა საიდუმლოების ფარდა?

კვლავ დააპატიმრეს ცნობილი საერთაშორისო აფერისტი პაციენცა

რომი. ხულ ორ კვირას ტკბებოდა თავისუფლებით ფრანჩესკო პაციენცა — ცნობილი საერთაშორისო აფერისტი, დასავლეთის მთელი რიგი საიდუმლო სამსახურების აგენტი, რომელიც გარეულია მრავალ ბინძურ პოლიტიკურ სკანდალსა თუ შეთქმულებაში. მას ისევ დაადეს ხელბორკილი. კარაბინერებმა იგი საპატიმროში მოათავსეს ქალაქ ბოლონიის მოსამართლეთა მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე. ზედ ახალი წლის წინ მათ გადაწყვიტეს სასამართლო პასუხისგებაში მიეცათ პაციენცა იმ საქმის გამო, რომელიც დაკავშირებულია 1980 წლის აგვისტოში ბოლონიის რკინიგზის ვაგზლზე დიდი ძალის ბომბის აფეთქებასთან.

საგამოძიებო ორგანოებმა მრავალი ისეთი ფაქტი მოაგროვეს, რომლებიც ცხადყოფს, რომ პაციენცას ხელი ურევია ნეოფაშისტებისაგამოცდო განყოფილებამ, გასული წლის დეკემბერში ხ. კოკაიამ მოლიპულ გზაზე სიჩქარეს გადააჭარბა და შემხვედრ ავტომანქანას დაეჯახა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა ადამიანი.

გამოირკვა, რომ ბაზაში, სადაც ხ. კოკაია მუშაობდა, აგრეთვე ცხაკაიას რაიონის ბევრ სხვა საწარმოში, სხვაზა მოძრაობის წესების დარღვევასთან ბრძოლის კომისიები უმოქმედოდ არიან. ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრია ინდივიდუალური მანქანების მფლობელთა მხოლოდ 19 პროცენტი.

მიმდინარე წლის დამდეგიდან მოქმედებს ავტო-მოტოტრანსპორტის მართვის სწავლების, მძღოლის მოწმობების გაცემის ახალი წესი. საჭიროა მისი უმკაცრესად დაცვა.

სხდომაზე გააანალიზეს ავტოტრასებზე მოძრაობა უსაფრთხოების მდგომარეობა ჩხოროწყუს, წითელწყაროს და წალკის რაიონებში. იგი საფუძვლიან შეფოთებას იწვევს. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონში მოძრაობის უსაფრთხოების სამსახური მარტო ერთ ავტომეურნეობაშია. ყველგან არ ეწყობა მძღოლთა რეისისწინა მომზადებები. არც ერთ რაიონში არ არის მოწყობილი ავტოსადგომები. ამ რაიონების საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან ბრძოლის კომისიათა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. ხშირად დასახელებული კომისიების ხელმძღვანელებმა არ იციან, რა მდგომარეობაა გზებზე.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

მართვის უფლება—ღირსეულთ

ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე

ვენ ადამიანებს, რომელსაც საჭირო ჩვევები არა აქვთ? მძღოლის მოწმობის გაცემისას, ისევე როგორც ავტომობილის გაყიდვისას, შესაბამისი სამსახურები უფრო საფუძვლიანად უნდა ინტერესდებოდნენ ამით.

„საქტარის“ ცხაკაიას ბაზის მუშამ ხ. კოკაიამ, რომელსაც საბჭოთა არმიაში სამსახურის შემდეგ ექვსი თვეც არ ჰქონდა ნამუშევარი, ავტომობილი შეიძინა. მანქანის ყიდვისას მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მძღოლის მოწმობა — იგი მას სამი თვის შემდეგ მისცა სახელმწიფო ავტოინსპექციის ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო

ДИДИ წარმატებით მოიარა კინოეკრანები თენგიზ აბულაძის ახალმა ფილმმა „მონანიებამ“. პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა, რომელთა ავტორები გულწრფელად გამოთქვამდნენ თავის პირველ შთაბეჭდილებებს. ფილმი ქართველმა მაყურებელმა ტელეეკრანის საშუალებითაც იხილა და ისევ იმძლავრა მასზე საუბრის, აზრის გამოთქმის სურვილმა.

„მონანიება“ დამასრულებელი ნაწილია ტრილოგიისა — „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“. თუ პირველ და მეორე ფილმში თ. აბულაძე თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებისას ვაჟა-ფშაველას და გიორგი ლეონიძის შემოქმედებას მიმართავს და ამით ეროვნული ლიტერატურის ერთგვარ კინემატოგრაფიულ ტრანსკრიფციებს გვთავაზობს, ტრილოგიის დამასრულებელ მესამე ნაწილად იგი უკვე ორიგინალური სცენარის საფუძველზე იღებს ფილმს და ჩანაფიქრსაც და ჩანაფიქრის გამოთქმის ფორმასაც. პირველწყაროშივე, საკუთარ ხედვასა და აზროვნებაზე აფუძნებს.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ტრილოგიის დამასრულებელ ფილმში ზუსტდება და კონკრეტდება თ. აბულაძის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, სათქმელი, რომ „მონანიება“ მხატვრულ სამყაროში გამოხატული რეჟისორის პიროვნულ-მოქალაქეობრივი გამოცდილება, მისი ანალიტიკური აზროვნების შედეგია.

მონანიება — ჩადენილი დანაშაულიდან განდგომა, გონებისა და სულის ერთიანობით დანაშაულის აღიარება, შემდგომ — ამაღლება და განწმენდა...

ვის და **რას** გულისხმობენ ფილმის ავტორები, როდესაც ადამიანის სულისა და გონების, ენებისა და მოქმედების ამგვარ ტრანსფორმაციაზე მიგვითითებენ?

კინემატოგრაფიულ თხრობას თ. აბულაძე გამოშგონებლობითა და ცხოველი ფანტაზიით წარმართავს. ფილმში მოთხრობილი ამბავი ადამიანის შემეცნებაში გაელვებული აზრის რეტროსპექტული ხილვაა. ფინალში კვლავ დაეგბრუნდებით დროის პირველდელ მდინარებას, მაგრამ საოცარი სიცხადით შეეგრძნობთ ემოციურ მუხტს, მოვლენილი ხილვის შემდგომ რომ დაგვფლებია.

ამგვარად, წამიერი ხილვა ერეკულ საეკრანო თხრობად იქცევა და ავტორისეულ ჰიპოთეზად მოგვევლინება არსებულის და არარსებულის შესახებ.

ფილმში დროისა და სივრცის რამდენიმე შრეა: პირველს შესაძლოა ნამდვილე ეუწოდოთ, თუმცა ავტორი საკმაოდ თავისუფლად ეპყრობა დროის მანიშნებელ დეტალებს. როგორც ჩანს, მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დროისა და სივრცის გაფართოებულ, გვერცობილ წარმოდგენას. მეორე შრე — ვარლამ არაგვიძის ცხოვრების ეპიზოდებია, მესამე — აბელ არაგვიძის სიოჯახო ქრონიკა.

სათხრობი მასალის სივრცესა და დროში განფენილი ასახვა ავტორების მიერ არჩეული შემოქმედებითი ხერხია, ჩანაფიქრის გამომხატველი ფორმაა; ფილმის ავტორებს აინტერესებთ ადამიანის ზნეობრივი საწყისები, მათი დიალექტიკური განვითარება და ამიტომ ჩანაფიქრის სავსედ და მრავლისმომცველად ასახვისათვის მიმართავენ ხილვებისა და რეტროსპექციის ხერხს. ასევე განმუტტულნი არიან ისინი გამომსახველი ხერხების თვალსაზრისითაც, როდესაც რეალური და ირეალური კადრების ერთიანობით განსჯის ობიექტად წარმოადგენენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

საზოგადოდ, სამსჯავრო პროცესის ხილვისას მაყურებელს აუცილებელ მოთხოვნილებად ექცევა ხოლმე ნაწარმოების გმირთა მოქმედების, მათი ზნეობრივი ნორმების, აღწერილი მოვლენების სამართლეობრივი განსჯა. რაღა თქმა უნდა, ინტერესის სიცხოველე დანაშაულის მასშტაბურობით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით თ. აბულაძის „მონანიება“ მნიშვნელოვანი ქმნილებაა. ფილმის ავტორებს სამსჯავროზე გამოაქვთ **ბოროტება.**

გაკკითხვის ობიექტია ვარლამ არაგვიძე.

ვარლამ არაგვიძე გარკვეული ძალაუფლების მქონე პიროვნებაა. მას თავისი თანამოსაქმეები ჰყავს, უფრო სწორად, — მისი სამოქმედო პოლიტიკის ყურმოჭრილი გამტარებლები. ვარლამ არაგვიძეს და მის ქვეშევრდომებს სიკვდილისა და კაცთმოძულეობის გზა მიუნიშნეიათ ცხოვრებაში საბოლოოდ ჰარმონიის დამკვიდრების საშუალებად. იმ ჰარმონიისა, ყველაფერი და ყოველივე ერთი ადამიანის ნების რომ უნდა დაემორჩილოს, სადაც ადამიანთა სიცოცხლე მარionეტულ არსებობის დაემსგავსება.

ვარლამ არაგვიძე — „ღიმილიანი კაცი“, ინდივიდუალური მოძალადეა. იგი, შესანიშნავად ფლობს იმ კანონებს, რომლებსაც ადამიანის გონება სრულ პარალიზებამდე მიჰყავს (მიხეილ კორიშელის ბედი ამ მოსაზრების დამადასტურებელია) ან ადამიანს ფიზიკურად ანადგურებს (სანდრო, ბარათელი და მისი მეუღლე). ვარლამ არაგვიძის სახის ამგვარი გაანზრება ავტორებს ფსიქოლოგიური, სოციალური და ფილოსოფიური მინიშნების საშუალებას აძლევს. ამ გზით ისინი არა მარტო გვიჩვენებენ, არამედ გვაფრთხილებენ კიდეც სივრცესა და დროში ბოროტების სახეცვლილ ფორმებად არსებობის შესახებ. ვარლამის სულიერი მემკვიდრენი არიან მისი შვილი აბელი და აბელის მეგობარ-ნათესავები. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ვარლამის ნაანდერძევი მოძალადისა და ჯალათის ბუნება მათ პრაქტიკული სარგებლიანობის სიღრმეში ჩაუმალავთ.

მთგან განსხვავებით, ვარლამის შვილიშვილი თორნიკე, საზოგადოების იმ მიზანსწრაფვის გამათვალსაჩინოებელია, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოა მისი წინაპრისათვის. ეს განსხვავება იქცევა კიდეც თორნიკეს ტრაგიკული სიკვდილის მიზეზად.

არავიძეების მოდგმას სწორედ აქ უცდის მონანიების, ზნეობრივი განწმენდის ჟამი.

ამგვარად მოძალადის დაკნინებული ბუნება, სიკეთესა და სილამაზეს რომ ახშობს, ერთმმართველობის გვირგვინზე რომ ოცნებობს, გაცხადებულია ავტორის მიერ ფართო აზრობრივი განზოგადებებით, ტირანიის მსოფლიო გაკვეთილების გათვალისწინებით.

თ. აბულაძის ფილმი მაყურებელს მრავალი ასპექტით დააინტერესებს. ერთ-ერთი ასეთი ასპექტთაგანია მხატვრული ხედვის სისტემა, სადაც თვალსაჩინოდ იკითხება აზროვნების მეტაფორული ხერხი, კონკრეტულიდან ზოგადისაკენ სწრაფვის საოცარი უნარი, მხატვრული დეტალისა და მტრიხის მრავლისმეტყველად აღღერება, რაც ფილმის შინაარსობრივი საფუძველის აუცილებელ კომპონენტებად წარმოგვიდგება.

„მონანიების“ მდიდარ სანახაობითს სპექტრში ასევე მდიდარ ასოციაციურ მინიშნებებსაც გამოვარჩევთ, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო კულტურის მონაპოვრებთან. თ. აბულაძის ფილმში ისინი შესაძლოა პირდაპირი ციტირების ფუნქციით არ შემოდიან, მაგრამ მათთან კავშირი უტყუარია.

ადამიანის ზნეობრივი ხატის სიღრმისეული შეცნობის სურვილი, მორალურ-ეთიკური ნორმებზე მწვავე დაფიქრება, სასიცოცხლო დანიშნულების მქონე მოთხოვნილება ბოროტების განიარაღებისა, განაპირობებს „მონანიების“ წარმატებას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროის ქართულ კინოში მორალურ-ეთიკური პრობლემატიკა, მართალია განსხვავებულ თემატურ მასალაზე, მხატვრულ აზროვნების ცენტრშია: „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „მოცურავე“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ და სხვა ეანრულ-სტილისტიკური სახესხვაობით გადაღებული ფილმები გამუდმებით იპყრობდნენ ჩვენს ყურადღებას.

ამჯერად, „მონანიების“ განსაკუთრებული წარმატება (მხედველობაში მაქვს როგორც მაყურებელთა ინტერესი, ისევე პრესაში გამოქვეყნებული წერილები) ფილმის მხატვრულ თვისებებთან ერთად თემატური განახლებით, სიუჟეტის მწვავე წარმოდგენითაა მიღწეული. ამ უკანასკნელს უშუალო კავშირი აქვს ბოლო დროს ჩვენს სინამდვილეში საჯაროობასთან დაკავშირებულ კეთილისმყოფელ ძვრებთან, რომლებიც თითოეული ჩვენგანისგან აქტიურ აზროვნებას და მოქმედებას მოითხოვს.

. თ. აბულაძის ფილმი იმ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, სადაც ნაწარმოების მხატვრული პრობლემა მთავარი მოქმედი გმირის სახეშია განზავებული, ამიტომ ვარლამისა და აბელის განმასახიერებელ ავთანდილ მახარაძის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. მით უფრო ძვირფასია მოპოვებული წარმატება.

ა. მახარაძე უნდო აქტიორული ტექნიკისა და შინაგანი პიროვნული სიძლიერის მქონე მსახიობია. ეს თვისებები შესანიშნავად ჩანს ეკრანზე როლების როგორც სტილიზებული, ისევე ყოფითი სიზუსტით გადაწყვეტისას. გარეგნულად შეუმჩნეველი დეტალებით ქმნის ა. მახარაძე აბელის, „წარჩინებული“ წრის წარმომადგენლის სახეს, მოძალადის ბრჭყალები შენიღბული რომ აქვს და ქვეცნობიერად შიშს რომ გაინცდის. მახარაძე-ვარლამი მლიქნელისა და მპყრობელის განსახიერებაა. კეთხოვანი ღიმილი მისი პორტრეტის დამახასიათებელი ტრიხია, ბოროტების ნიღბად ჩენილი. ნიღბიდან დროდადრო გამოჭკრთის აზრის სიმდაბლე, თვითკმაყოფილების ნეტარება, ცინიზმი, სიავე და გაიძვერობა.

სამსახიობო ანსამბლი მხატვრულ სახეთა განსახიერების სხვადასხვა სიმაღლეებს ავლენს; კიდევ ერთხელ, მისთვის ჩვეული ბრწყინვალებით გაიღლვა ვეიკო ანჯაფარიძის ხელოვნებამ; საინტერესოა ია ნინიძის გულიკო, იგი კარგად ფლობს სახასიათო ქვეტექსტების ბუნებრივად გახსნის მეთოდებს; ახალგაზრდა მერაბ ნინიძე — თორნიკეს როლში — გულწრფელია, მისი პიროვნული მომზიდლობა ძალზე ბევრს მატებს გმირს, რომელიც ფილმის დრამატურგიულ მთლიანობაში ოდნავ თეზისურადაა წარმოდგენილი; შესანიშნავია ზეინაბ ბოცვაძის — ქეთი ბარათელის სფინქსული კადრები, მზია მახვილაძის მიერ რამდენიმე წამის მანძილზე, რომელიც სტუდენტობის წლებში ასე აკლიათ ხოლმე.

• • •

სტუდენტის მოკრძალებულ ბიუჯეტზე ბევრი თქმულა. მისი გამოსწორება ხანდახან საკმაოდ ძნელ გვარიანი მოხერხებისა და შნოს გამოჩენა უხდებათ ხოლმე: ძნელია სამუშაოზე არასრული დღის პირობით მოწყობა, ოპერაციებს ასრულებენ, ოთხ საათში ნორმის დაახლოებით 70 პროცენტს გამოიმუშავებენ. ეს საწარმოსაც აძლევს ხელს, ვინაიდან იგი კადრებს მწვავე ნაკლებობას განიცდის.

გორკის სახელმწიფო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა შეძლეს თავი მოებათ შეკვეთისათვის, რომელსაც წლობით არ კიდებდნენ ხელს დიდი დაწესებულებები — ეს არის ქალაქის ფარგლებში მოქცეული ხევებისა და უშენი ადგილების განაშენიანება — კეთილმოწყობის პროექტი. ეს სამუშაოები მიენდო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს სტუდენტთა სამეურნეო-სანგარიშიან საპროექტო ბიუროს. მისმა აქტივისტებმა — სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა საბავშვო სათამაშო მოედნების პროექტები შეიმუშავეს. საპროექტო ბიურო მშენებლებს დაეხმარა პიონერთა ბანაკების, გორკის მეტროპოლიტენის პირველი რიგის სადგურების, ახალგაზრდული კლუბებისა და სპორტული კომპლექსების აგებაშიც.

მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის შრომითი საქმეების შტაბმა სტუდენტთა ანკეტირება მოაწყო. ამან შესაძლებელი გახადა მათთვის ხელსაყრელი სამუშაო დღის ხანგრძლივობის გახანგრძლივება, იმ სპეციალობების გამოვლენა, რომლებზეც ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა. შტაბმა მუდმივი კონტაქტი დაამყარა მოსკოვის კალინინის შრომითი მოწყობის ბიუროსთან. სტუდენტები საშუალოდ კვირაში 16-20 საათს მუშაობენ და სტიპენდიის დამატებით დაახლოებით 60 მანეთს იღებენ ხელზე. მათ შეუძლიათ ძალა მოსინჯონ შუალედ თავიანთ მომავალ ასპარეზებეც: მთელი წლის განმავლობაში მოქმედ სტუდენტურ რაზმში წარმოდგენილია ისეთი სპეციალობები, როგორიცაა რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხის ოპერატორი, ელექტრომონტაჟე, გამოთვლითი ცენტრის პროგრამისტი, ელექტრომექანიკოსი. მუშაობით კი სტუდენტები რაიონის იმ საწარმოებში მუშაობენ, რომლებთანაც დადებულია თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

რიგა-ზორკი-მოსკოვი-თბილისი.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ᲥᲘᲜᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ

ᲥᲘᲜᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება. 16.30 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.00 — საქართველოს ისტორია. 17.30 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაგელოცოს მარჯვენა“. 18.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.35 — ახალგაზრდობისათვის. „ერთგულება“. 19.00 — საერთაშორისო დღიური. 19.30 — მოამბე. 20.05 — „ცისფერი ეკრანი“, ანუ მოგილოცავთ ახალ წელს!“ (31 დეკემბრის გადაცემის განმეორება). პირველი ნაწილი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ცისფერი ეკრანი“, ანუ მოგილოცავთ ახალ წელს!“ მეორე ნაწილი.

მეორე პროგრამა. 16.45 — მხატვრული ფილმი „უფლისწული შვიდი ზღვის იქით“. 18.10 — დოკუმენტური ფილმი „ანტარქტიდის აღმოჩენა“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „სოფია გოლოვკინა“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 10.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეტიუდი მშრომელ ადამიანებზე“. 10.55 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 11.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დრო არ ითმენს“. I სერია. 12.40 — დოკუმენტური ფილმი „კომპოზიტორი გლაზუნოვი“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.05— საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მონოლოგი პუშკინზე“. 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „თაგუნას ძიღი უნდოდა“. 17.55 — მოსწავლეთათვის. გასართობი პროგრამა. 18.45 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი — „პერსონალური კომპიუტერები“. 19.35 — „ხუთწლეულის მოწინავენი“ — ზურაბ მექვაბიშვილი. 19.55 — მოამბე. 20.30 — „შტრიხები ვ. ი. ლენინის პორტრეტისათვის“. პრემიერა სატელევიზიო მხატვრული ფილმისა. ფილმი მეორე (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ფილმის დაბადება“ (შეხვედრა ქართული მხატვრული ფილმის „ნეიღლონის ნაძვის ხის“ დამდგმელ კოლექტივთან). 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „დიდი მომთვინიერებელი“. 17.50 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყაბარდო-ბალყარეთი“. 10.10 — დოკუმენტური ფილმი „10 წელი ირკუტსკთან“. 10.20 — მხატვრული ფილმი „ავმრთელეს-პექტორი“. 11.35 — „კინოს სამყაროში“. 13.00 — აბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „კუდის ვარჯიში“. 17.00 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუჩხი ბედინერი“. 17.30 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 17.50 — მოსწავლეთათვის. „თეატრალური ვიქტორინა“. 18.50 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“. 19.25 — მოამბე. 20.00 — „რეზონანსი“ — მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადების ერთი წლისთავისადმი. გადაცემას უძღვება ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი ბ. კალიგინი (მ.). 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. ქართული მხატვრული ფილმი „ჩიორა“.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „ძველ ბელიე რისიში“. 17.50 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საიანდან ტაიმირამდე“. 10.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩიორა“. 11.40 — დოკუმენტური ფილმი „მხატვარ კოროლიოვის სახეები და სივრცე“. 12.00 — საესტრადო პანორამა. 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბელადი — ფრთათეთრი“. 15.55 — საესტრადო გადაცემა კიევიდან. 16.20 — მხიარული სტარტები. 17.05 — ფესტივალები... კონკურსები... კონცერტები... 18.20 — კინოპანორამა. 20.05 — მუსიკალური მოზაიკა. 20.35 — მშენებლობა და არქიტექტურა. 20.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 21.00 — „ძიღი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — კალათბურთი. ვაჟები. ლენინგრადის „სპარტაკი“ — ცსკა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ეკრანზეა კინოკომედია. „გოგოები“.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — ქართული დოკუმენტური ფილმები „იხარეთ და იდღეგრძელეთ“, „ბაკურიანის არდადეგები“. 10.25 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — საახალწლო ნაძვისხის ზეიმი კრემლის ყრილობათა სასახლეში. (მ). 11.45—„მხიარული შეჯიბრება“. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 12.50 — ცეკვის რიტმები. 13.20 — „ჯანმრთელობა“. სატელევიზიო პროგრამა. 13.55 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 14.00 —სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმი. 15.00—შევისწავლოთ რუსული ენა. 15.20—საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — პოეზიის ხუთი წუთი. „ოქტომბრის დღეები“. 18.20 — კონცერტი. 18.55 „სოციალისტებმა [illegible] ნი“. 19.45 — [illegible] ლოგიაზე. 20.00 — [illegible] 20.35 — დოკუმენტური ფილმი. 21.00 — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის საახალწლო კონცერტი. 21.50 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — რესპუბლიკის სახალხო არტისტის კ. მახარაძის საიუბილეო საღამო.

მეორე პროგრამა. 16.30 — მხატვრული ფილმი „ჯირკუტაა“. 17.55 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სალხინოდ მოხმარდეს“. 10.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.15 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 10.25 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.55 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობარი ივანე ლაფშინი“. 12.35 — პოეზიის ხუთი წუთი. ა. ს. პუშკინი. 12.40 — მღერის ვოკალური კვარტეტი „რეტრო“. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 13.35 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 14.10 — „ხომლი“. 15.10 — შევისწავლოთ რუსული ენა. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — პოეზიის ხუთი წუთი. ა. ს. პუშკინი. 16.00 — შეხვედრა ვეტერან კალათბურთელებთან. 16.50 — „ბუნების კარი“. 17.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. ა. ს. პუშკინი. 17.40— მხატვრული პროგრამა. 19.55 — პოეზიის ხუთი წუთი. ა. ს. პუშკინი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მუსიკალური გასართობი პროგრამა. 21.15 — „ახალგაზრდობა“. სატელევიზიო პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „რამდენიმე შეხვედრა ნინო ანანიაშვილთან“. შეხვედრა პირველი — ბ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბულერა“. 10.05 — დილის კონცერტი — „რიტმი, რიტმი, რიტმი“. 11.00 — სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტია. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფაფა. 12.00 — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა. 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „გუსტავი და სხვები“. 12.45 — საკვირაო გამოფენა — თ. გოცაძე. 12.50 — ფეხბურთის მოყვარულებისათვის — მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (დანია — ესპანეთი). 14.25 — საკვირაო გამოფენა — თ. გოცაძე. 14.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 15.00 — „ჯანმრთელობა“ (მ.). 15.45— ვესტნიკი. 16.15 — დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისთვის — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „სასწრაფოდ... საიდუმლოდ... გუბჩეკას“. 17.45 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 18.20 — საკვირაო გამოფენა — თ. გოცაძე. 18.25 — საოპერო თეატრის აფიშასთან“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — შეხვედრა აკადემიკოს თ. გამყრელიძესთან (განმეორებით). 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „სიმღერის სიყვარულით“. მღერის ი. სოხაძე (მ.). 23.10 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“ (17 იანვრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი).

ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.10 და 9.05 — მულტფილმები. 8.20 — მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.35 — ადამიანი და ბუნება. 10.05 — საბავშვო გადაცემა. 10.35 — საბჭოური სიმღერის კონცერტი. 11.00 — საახალწლო ნაძვისხე კრემლის ყრილობათა სასახლეში. 11.45 — ხალხური მელოდიები. 12.00 — შაბათი მშობლების დღეა. 13.30 — ცეკვავს ბავშვთა ანსამბლი. 14.00 — დოკუმენტური ფილმი. 15.00 — თანამეგობრობა. 15.50—ეგორიევკის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაობის შესახებ. 16.20 — დიდი ოქტომბრის ოუბილესათვის. მხატვრული ფილმი „კომუნისტი“. 18.25 — აშკარა-დაუჯერებელი. 19.25 — მულტფილმი. 19.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ედუარდ ასადოვი. ვიბრძვი, მწამს, მიყვარს!“ 20.30 — კონცერტი. 21.05— ინგლისური მხატვრული ტელეფილმი „გამოცხადებულია მკვლელობა“. I სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კვირაძალს. გეპატიჟებათ ნიკოლოზ ოზეროვი. 0.40 — ფიგურული ციგურობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.35 — უკრავს ვ. სემიონოვი (ბაიანი). 10.05 — რიტმული ტანვარჯიში. 10.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ვარსკვლავთცვენა“. 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მხატვრული ფილმი „სიმშვიდე გაუქმებულია“. 13.45 — მ. გორკის დრამატურგია“. „მდაბიონი“. 14.35 — მხატვრული ფილმი „ბელადი — ფრთათეთრი“. 15.55 — საესტრადო გადაცემა კიევიდან. 16.20 — მხიარული სტარტები. 17.05 — ფესტივალები... კონკურსები... კონცერტები... 18.20 — კინოპანორამა. 20.05 — მუსიკალური მოზაიკა. 20.35 — მშენებლობა და არქიტექტურა. 20.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 21.00 — „ძიღი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — კალათბურთი. ვაჟები. ლენინგრადის „სპარტაკი“ — ცსკა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ეკრანზეა კინოკომედია. „გოგოები“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲕᲘ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — ქართული დოკუმენტური ფილმები „იხარეთ და იდღეგრძელეთ“, „ბაკურიანის არდადეგები“. 10.25 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — საახალწლო ნაძვისხის ზეიმი კრემლის ყრილობათა სასახლეში. (მ). 11.45—„მხიარული შეჯიბრება“. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 12.50 — ცეკვის რიტმები. 13.20 — „ჯანმრთელობა“. სატელევიზიო პროგრამა. 13.55 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 14.00 —სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმი. 15.00—შევისწავლოთ რუსული ენა. 15.20—საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 15.40 — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.20 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“. 17.25 — „მულტფანტაზია“. 17.45 — პოეზიის ხუთი წუთი. ლადო ასათიანის ლექსები. 17.50 — შემოქმედებითი პორტრეტები. თამარ წულუკიძე. 19.00 — მუსიკოსები ხუმრობენ. 20.00 — მოამბე. 20.40 — „გვიოლაავენ ბალეტის ვარსკვლავები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40— მხატვრული პროგრამა.

ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲐ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქონდრის კაციის საახალწლო თავგადასავალი (დასწყისი 11 ს. 30 წ. და 17 ს.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ექსპრომტი (ღღისთვ), ჯაფის ხიწნები (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მოტაცება ჩვენებურად (ღღისთვ), მევიოლინე სახურაგზე (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები; მოზარდ მაყურებელთა ქართული (რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში) — წოთელქუდა (აბონ. № 10, 12 ს., აბონ. № 3, 2 ს.), თავისუფალი თემა (აბონ. № 45, 6 ს.); ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში — თოვლის ბებოს ზღაპარი. ანსამბლი „ივერია“.

წიგნის თარო

გამოცემლობა „განათლებამ“ მკითხველებს მართლაც კარგი საჩუქარი მიუძღვნა — გამოსცა ცნობილი ჟურნალისტის არჩილ გოგელიას წიგნი „ასეთია სპორტული ცხოვრება“, რომელიც მოგვითხრობს ქართულ სპორტზე და საქართველოს იმ სპორტსმენებზე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ავტორი წარმოაჩენს სპორტსმენთა საუკეთესო თვისებებს — პატრიოტიზმს, კეთილშობილებას, რაინდულ ბუნებას, ვაჟკაცობას, თანადგომას, მეტოქის პატივისცემას, ჭირთამენას, მზანსწრაფვისა და სიძნელეთა დაძლევის უნარს.

ამ ნარკვევებში გაეცსაუბრებით ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს, მოკადრაკეებს, კალათბურთელებს, მოფარიკაკეებს, მძლეოსნებს და კიდევ, ვინ ჩამოთვლის, ჩვენი რესპუბლიკის საოცდაათამდე სახელგანთქმულ სპორტსმენებს, აქვე იხილავთ შთამბეჭდავ ინტერვიუებს, სპორტულ პუბლიცისტიკას, უცხოეთის ქვეყნებში ნანახ-განცდილის ამსახველ ამბებს...

საქმის ცოდნითა და დახვეწილი ვემოვნებით დაწერილი ეს წიგნი უთუოდ კეთილ მეგზურობას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდებს და სპორტით დაინტერესებულ ფართო მკითხველებს. და თუ რა დიდი ინტერესით იკითხება ავტორის მიერ მაღალნიჭიერად ნაამბობი, ამაში თავად მკითხველი დარწმუ